გᲐნᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ გᲐნᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

# ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“

| ექსპერტთა ჯგუფის წევრები |
|---|
| თავმჯდომარე: ეკა ლუაშვილი |
| წევრები: |
| ნინო ფეტვიაშვილი |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019 წელი)

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი - **ა(ა)იპ**

საიდენტიფიკაციო კოდი: 237079497

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*დანართი №2*

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

ა(ა)იპ კოლეჯის "ჰორიზონტი" (შემდგომში- კოლეჯი) საგანმანათლებლო საქმიანობის საფუძველი შეიქმნა *1967 წლიდან,* როდესაც **დაფუძნდა მახარაძის #53 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი ქალაქ ოზურგეთში. 1989 წლიდან** დაწესებულებას ეწოდა **ოზურგეთის #53 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი. 2005 წელს** კი სასწავლებლის ბაზაზე შეიქმნა **ოზურგეთის პროფესიული ლიცეუმი.**
პროფესიული განათლების რეფორმის კონტექსტში **2007 წელს** ლიცეუმის რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა **სსიპ ოზურგეთის პროფესიული სწავლების ცენტრი,** რომლის ბაზაზეც **2011 წელს დაფუძნდა სსიპ პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი“**, რომლის **რეორგანიზაციის შედეგად 2012 წლის აპრილში დაფუძნდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი პროფესიული კოლეჯი ჰორიზონტი**, ხოლო პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონის იმპლემენტაციის პროცესში დაწესებულების სახელწოდება განისაზღვრა შემდეგი სახით: **ა(ა)იპ კოლეჯი "ჰორიზონტი"** და ამ სახელწოდებით გეგმავს დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობის გაგრძლებას.

კოლეჯი არის ავტორიზებული დაწესებულება, რომელმაც რეავტორიზაციის მიზნით წარადგინა განცხადება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლად ცნობის მოთხოვნით სსიპ - განათლების ხარისხის განავითარების ეროვნულ ცენტრში. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლად ცნობის თვითშეფასების შევსებული ფორმის მიხედვით კოლეჯი **გეგმავს განახორციელოს 5 მოდულური** პროგრამა: 1.**სამკერვალო წარმოება** - მოთოხვნილი ადგილების **რაოდენობა - 45**; 2.**თმის მომსახურება** - მოთოხვნილი ადგილების **რაოდენობა - 42; 3.ელექტროობა -** მოთოხვნილი ადგილების **რაოდენობა - 45; 4.ინფორმაციის ტექნოლოგია -** მოთოხვნილი ადგილების **რაოდენობა - 20; 5.კულინარიის ხელოვნება - მოთოხვნილი ადგილების რაოდენობა - 42.** გარდა დასახელებული პროგრამებისა, რომელსაც უკვე ახორციელებს კოლეჯი, **მილევად რეჟიმში ახორციელებს ბართენდერის** მოდულურ პროგრამას, რომელზეც პროფესიულ სტუდენტთა განსაზღვრული რაოდენობა შეადგენს - 30 -ს, ხოლო **ვიზიტისას დაფიქსირდა 7 აქტიური სტატუსის** მქონე პროფესიული სტუდენტი.

2019 წლის 17, 18 და 19 ივლისს კოლეჯში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, კერძოდ ექსპერტთა მიერ კოლეჯი შემოწმებულ იქნა სამი სტანდარტის ( 1. საგანმანათლებლო პროგრამები; 2. მატერიალური რესურსი; 3.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2019 წელი)*

ადამიანური რესურსი) მიხედვით. შემოწმება განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად, კერძოდ:

**ვიზიტის პირველი დღე** ძირითადად დაეთმო დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებას, ასევე შემოწმებულ იქნა დაწესებულების საქმისწარმოება; ვებგვერდი და პროგრამების კატალოგი; ადმინისტრაციული პერსონალის (პირადი საქმეები, ხელშეკრულებები და ა.შ); პროგრამების ადამიანური რესურსის პირადი საქმეები.

**ვიზიტის მეორე დღეს** ექსპერტები შევხვდით პროგრამის განმახორციელებელ პირებსა და პროფესიულ სტუდენტებს, დავათვალიერეთ კოლეჯის სასწავლო ბაზა, მათ შორის ბიბლიოთეკის სივრცე. ასევე შემოწმდა პროფესიულ სტუდენტებთან დაკავშირებული რეგულაციები და მათი პრაქტიკაში გამოყენების მექანიზმები, მათ შორის შერჩევითი პრინციპით პროფესიული სტუდენტის პირადი საქმეები; რეესტრის წარმოება (evet.emis.ge). განვიხილეთ პროგრამები და მათთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტაცია.

**ვიზიტის მესამე დღეს** ვიმყოფებოდით ორი პარტნიორი დამსაქმებლის ბაზაზე (Paragrah Resort & Spa Shekvetili და სამკერვალო ქარხანა შპს ,,ოზურგეთი დენიმ“), სადაც ხორციელდება პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკა. ექსპერტებმა შევაჯამეთ სამდღიანი ვიზიტის შედეგები და შეჯერებული შეფასებები და მიგნებები გავაცანით კოლეჯის წარმომადგენლებს.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯში ვიზიტი იყო კარგად ორგანიზებული და ექსპერტთა ჯგუფმა 10 შეხვედრის ჩატარება უზრუნველყო. მისასალმებელია, რომ ინტერვიუების დროს, დისკუსიები იყო ღია და სასარგებლო ექსპერტთა ჯგუფისთვის, რათა გაცნობოდნენ კოლეჯს და მათ თვითშეფასების ანგარიშს. კოლეჯის თანამშრომლები მზად იყვნენ გაეცათ ყველა ინფორმაცია და დამატებითი დოკუმენტაცია დაუყოვნებლივ და ორგანიზებულად. უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯი წარმოდგენილია განათლებული, გამოცდილი და მოტივირებული ადამიანებით. რაც აძლევს ექსპერტებს იმის თქმის საშუალებას, რომ კოლეჯის მართვის სტილი და ადამიანური რესურსი ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. ექსპერტები მიესალმებიან კოლეჯის მართვასა და გადაწყვეტილებაში ყველა დაინტერესებული მხარის მაღალ ჩართულობას. ხაზგასასმელია, რომ კოლეჯი ერთნაირად წარმატებულად ახერხებს, როგორც რეგულაციების შინაარსის განსაზღვრას, ასევე მის შესრულებას. კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას, ექსპერტებმა შენიშნეს, რომ ისინი არ არიან ორინეტირებულნი მხოლოდ ავტორიზაციის სტანდარტების მოთხვნების შესრულებაზე, პერსონალი საუბრისას მოკლედ აფასებდნენ უკვე მიღწეულ პროგრესს და ვრცლად და თვითკრიტიკულად საუბრობდენ იმ საკითხებზე, რომელთა გაუმჯობესებაც აქვთ დაგეგმილი უფრო მეტი წარმატების მისაღწევად.

ყოველივე ზემოთ განხილული ექსპერტთა ჯგუფს აძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ კოლეჯი დიდი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*დანართი №2*

მონდომებით და გუნდური მუშაობით წარმატებით უძღვება საგანმანათლებლო საქმიანობას, რომლის შედეგები დადებითად უკვე აისახა გურიის რეგიონის განვითარების პროცესში.

| **მდგომარეობა** (ახალი/ არსებული) | **სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა** | **საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა** | **საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა** | **შენობა-ნაგებობების ფართი** | **მისამართების რაოდენობა და მდებარეობა** (ერთ მისამართზე/სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში/ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში) |
|---|---|---|---|---|---|
| **არსებული** | **194** | **5** | **37** | **2094 კვ.მ** | **ქ.ოზურგეთი, რუსთაველის N 8, (ერთ მისამართზე)** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2019 წელი)*

## III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ■ | ☐ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად | **მუხლი 6 / პუნქტი ა)** | ■ | ☐ |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ | **მუხლი 6 / პუნქტი ბ)** | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2019 წელი)*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს | **მუხლი 6 / პუნქტი გ)** | ■ | □ |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ■ | □ |
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ■ | □ |
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ■ | □ |
| **2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ■ | □ |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)** | ■ | □ |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)** | ■ | □ |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2019 წელი)*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ■ | □ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში; | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ■ | □ |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ■ | □ |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ■ | □ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)** | ■ | □ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)** | ■ | □ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)** | ■ | □ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)** | ■ | □ |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; | **მუხლი 7 / პუნქტი ზ)** | ■ | □ |
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | **მუხლი 7 / პუნქტი თ)** | ■ | □ |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | **მუხლი 7 / პუნქტი ი)** | ■ | □ |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2019 წელი)*

| **3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ■ | □ |
|---|---|---|---|---|
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი; | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ■ | □ |

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

1. **პროფესიული სტუდენტის მოზიდვის (პროფორიენტაციის) მექანიზმები და განხორციელებული აქტივობები;**
2. **პრაქტიკის განხორციელების და პროფესიული სტუდენტების წარმატებით დასაქმების, ასევე ახალი პროგრამების წარმატებით დანერგვის მიზნით მრავალფეროვანი, გრძელვადიან თანამშორმლობაზე ორინეტირებული კავშირები წარმატებულ კომპანიებთან (დამსაქმებლებთან).**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2019 წელი)*

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

**კოლეჯის ავტორიზაციის სტანდარტებთან შეფასების შედეგად ხარვეზი არ გამოვლენილა.**

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

კოლეჯის ავტორიზაციის სტანდარტებთან შეფასების შედეგად ექსპერტთა მიერ რეკომენდაცია არ იქნა განსაზღვრული. ამასთანავე ექსპერტებს 3.3. ქვესტანდარტის შეფასებისას, შრომითი ხელშეკრულების შინაარსთან დაკავშირებით გვქონდა ტექნკიური ხასიათის რჩევები, რომელიც კონკრეტულად იქნება დასახელებული შესაბამისი ქვესტანდარტის განხილვისას. მისი ტექნიკური შინაარსიდან გამომდინარე რეკომენდაციის სტატუსით არ იქნა განსაზღვრული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კოლეჯის მიერ მდულური პროგრამების დამატების მიზნით განხორციელებული შეფასებისას, ექსპერტთა წინა ჯგუფის მიერ განსაზღვრული, როგორც შინაარსობრივი, ასევე ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციები შესრულებულია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ე. [signature]
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. [signature]

## VII. დაწესებულების მისია

ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის მისიაა იყოს რეგიონის ეკონომიკური განვითარების აქტიური მონაწილე, სადაც მზარდია სწავლის მსურველთა და სოციალურ პარტნიორთა რაოდენობა, თანამედროვე სწავლების მეთოდების დანერგვით, მაღალკვალიფიციური პერსონალის, ტურისტული პოტენციალის და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, პროფესიისთვის აუცილებელი ცოდნის მიღებით და პრაქტიკული უნარჩვევების უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რაც თითოეულ პროფესიულ სტუდენტს / გამომუშავებ ის გზით მსმენელს მისცემს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის და დასაქმების საშუალებას, უზრუნველყოფს მათ პროფესიულ თვითრეალიზაციას და საზოგადოებაში დამკვიდრებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## სტანდარტების შეფასება

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები

**1.1** დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯი ახორციელებს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს: **„სამკერვალო წარმოება“; „თმის მომსახურება“; „ელექტროობა“; „ინფორმაციის ტექნოლოგია“; „კულინარიის ხელოვნება“** .

პროგრამები დამტკიცებულია უფლენამოსილი პირის, კოლეჯის დირექტორის მიერ. თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამებს თან ერთვის სასწავლო გეგმები, მოდულების განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაცია (სახელი, გვარი, მოდულის სახელწოდება, კვალიფიკაცია, სამუშაო გამოცდილება). სასწავლო გეგმებში გათვალისწინებულია დაშვების წინაპირობები, სტუდენტთა კვირეული დატვირთვა 36-40 საათს შეადგენს.

სასწავლო კურსებთან პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, სადაც განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტებით გაანგარიშების წესის, მუხლი 4[1]-ის მიხედვით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი პროფესიული ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში“.

1. *ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამკერვალო წარმოება“.*

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამკერვალო წარმოება“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე “სამკერვალო წარმოება”.

კურსდამთვრებულს ენიჭება საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში.
მესამე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში მოიცავს 6 ზოგად მოდულს, 16 ჯამური კრედიტის რაოდენობით; 16 პროფესიულ მოდულს ჯამური 83 კრედიტის მოცულობით - სულ 99 კრედიტი. სამკერვალო წარმოებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 99 კრედიტი.

2. *ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თმის მომსახურება“.*

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თმის მომსახურება“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე „თმის და სილამაზის მომსახურება“.

კურსდამთვრებულს ენიჭება საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია „თმის და სილამაზის მომსახურებაში“.
მესამე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაცია „თმის და სილამაზის მომსახურებაში“ მოიცავს 4 ზოგად მოდულს, 10 ჯამური კრედიტის რაოდენობით; 7 საერთო პროფესიულ (22 კრედიტი) და 7 თმის (25 კრედიტი) მომსახურება/პროფესიული მოდულს ჯამური 47 კრედიტის მოცულობით - სულ 57 კრედიტი. თმის მომსახურებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 57 კრედიტი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ***ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“.***

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე „სასტუმრო, რესტორანი და კვება“

კურსდამთვრებულს ენიჭება საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია „კულინარიის ხელოვნებაში“.

მესამე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაცია „კულინარიის ხელოვნებაში“ მოიცავს 2 ზოგად მოდულს, 7 ჯამური კრედიტის რაოდენობით; 7 საერთო პროფესიულ მოდულს (18 კრედიტი), 11 პროფესიული მოდული, მოდულის ჯამური 55 კრედიტის მოცულობით, 1არჩევითი მოდული 4 კრედიტის ოდენობით - სულ 84 კრედიტი.

კულინარიის ხელოვნებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 84 კრედიტი.

4. ***ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტროობა“.***

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტროობა“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე „ელექტროობა“.

კურსდამთვრებულს ენიჭება საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში -

მესამე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაცია ელექტროობაში მოიცავს 6 ზოგად მოდულს ჯამური 18 კრედიტის ოდენობით. 6 სავალდებულო პროფესიულ მოდულს ჯამური 28 კრედიტის ოდენობით, 1 არჩევითი მოდული (გერმანული ენა). ელექტროობაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 56 კრედიტი.

5. ***ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“.***

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა *„ინფორმაციის ტექნოლოგია“* შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე „ელექტროობა“.

კურსდამთვრებულს ენიჭება მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში.

მესამე დონის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში მოიცავს 6 ზოგად მოდულს ჯამური 16 კრედიტის ოდენობით, 5 საერთო პროფესიულ მოდულს 31 კრედიტის ოდენობით, 3 სავალდებულო პროფესიულ მოდულს ჯამური 13 კრედიტის ოდენობით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2019 წელი)*

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 60 კრედიტი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკის რეალიზებისათვის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები სხვადასხვა დაწესებულებასთან. კერძოდ,

- **თმის მომსახურება-საწარმოო პრაქტიკა**

მემორანდუმიN4 ----ი/მ [redacted] ,სილამაზის სალონი ,,ლაბელევია“
მემორანდუმიN5----ი/მ [redacted],სილამაზის სალონი ,,სილამაზის სახლი“
მემორანდუმიN6----ი/მ [redacted]
მემორანდუმიN7---ი/მ [redacted] ,სილამაზის სალონი ,,ამილო“
მემორანდუმიN8---ი/მ [redacted],სილამაზის სალონი ,,მშვენიერება“
მემორანდუმიN9---მიკრო მეწარმე [redacted] ,სილამაზის სალონი ,,ლაბელი“

- **სამკერვალო წარმოება--საწარმოო პრაქტიკა**

მემორანდუმიN1--შ.პ.ს ,,ოზურგეთი დენიმ“
მემორანდუმიN2--ამხანაგობა ,,ქართული სამოსი“
მემორანდუმიN3--ატელიე ,,ტაბება“,მიკრო მეწარმე [redacted]

- **სამკერვალო წარმოება--,,გაცნობითი პრაქტიკა-სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა“**

ხელშეკრულება N1-- შ.პ.ს ,,ოზურგეთი დენიმ“
ხელშეკრულება N2--ამხანაგობა ,,ქართული სამოსი“
ხელშეკრულება N3--ატელიე ,,ტაბება“,მიკრო მეწარმე [redacted]

- **კულინარიის ხელოვნება--,,გაცნობითი პრაქტიკა-სასტუმრო,რესტორანი და კვება“**

ხელშეკრულება N12--,,Paragrah Resort & Spa Shekvetili
ხელშეკრულება N5 --შ.პ.ს ,,ელეგანტი“, დარბაზი თამარიონი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2019 წელი)*

ხელშეკრულება N4--შ.პ.ს ,,ელეგანტი“,დარბაზი ოზურგეთი

- **ელექტროობა--,,გაცნობითი პრაქტიკა -ელექტროობაში“**

ხელშეკრულება N7-შ.პ.ს ,,მცირე ენერჯი აჭიჰესი“
ხელშეკრულება N8-შ.პ.ს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია ,,ბჟუჟა ჰესი“
ხელშეკრულება N9--შ.პ.ს ,,
ანასეულის ექსპერიმენტული ჩაის ფაბრიკა“

- **ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა- გაცნობითი პრაქტიკა**

ხელშეკრულება N10 --თავისუფალი მედია სივრცე
ხელშეკრულებაN11--ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი-პროგრესის სახლი

მემორანდუმში დაზუსტებულია საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პირობები და სტუდენტთა გამტარიანობა, გათვალისწინებულია პრაქტიკის წარმართვის წესი, მხარეთა უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობები. ხელშეკრულებებში დაზუსტებულია საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პირობები, სტუდენტთა რაოდენობა, მხარეთა უფლება-მოვალეობები და სხვა პირობები.

ვიზიტის მესამე სამუშაო დღეს ექსპერტების მიერ შერჩევით მოხდა პრაქტიკის ობიექტების კერძოდ, --,,Paragrah Resort & Spa Shekvetili და შ.პ.ს ,,ოზურგეთი დენიმ“ ადგილზე დათვალიერება, სადაც შესაძლებელი გახდა პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება. პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებმა დაადასტურეს კოლეჯთან თანამშრომლობა და ისაუბრეს საწარმოო პრაქტიკის განხორციელების გზებზე. ექსპერტებმა დაათვალიერეს და შეისწავლეს პრაქტიკისთვის საჭირო პირობების არსებობა. ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, დამსაქმებლებთან და პრაქტიკის განმახორციელებლებთან სწავლების პროცესსა და პრაქტიკის განხორციელების თაობაზე, რამაც აჩვენა, რომ კოლეჯი წარმოადგენს მნიშვნელოვან პარტნიორს დამსაქმებლებისთვის შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კადრების მომზადების კუთხით.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2019 წელი)*

- პროფესიულ საგანამნათლებლო პროგრამების დამტკიცების ადმინისტრაციული აქტით, ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის ბრძანება N 04-135 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებითა და თანდართული დოკუმენტებით;
- ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2019 წლის 3 ივნისის ბრძანებით N 04-110 „ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი“ „სასწავლო პროცესის და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“;
- ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2019 წლის 20 მაისის ბრძანებით N 04-88 „ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი“ მოდულური პროგრამის შემუშავების, დამტკიცების და მასში ცვლილების შეტანის წესის და პროცედურების დამტკიცების შესახებ“;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმებითა და ხელშეკრულებებით;
- დაწესებულებებში და პრაქტიკის ობიექტზე განხორციელებული ინტერვიუებით დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პრაქტიკის განმახორციელებლებთან;
- დანართი N1 - დღის წესრიგით ( 4 ფურცლად);

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.2** დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე http://horizonti.ge/. კატალოგი მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების შესახებ, საკონტაქტო ინფორმაციას, დაწესებულების მისიას, პროფესიული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამების მიზნებს, საფეხურებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციებს, მოცულობას, ხანგრძლივობას, სწავლების ენას, დაშვების წინაპირობას, სწავლის შედეგებს, დასაქმების სფეროებსა და პროფესიული სტუდენტის მიღწევის შეფასებას.

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებგვერდზე განთავსებული კატალოგით;
- ვებ-გვერდით http://horizonti.ge/

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.3** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტის" მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: ***„სამკერვალო წარმოება"; „თმის მომსახურება"; „ელექტროობა"; „ინფორმაციის ტექნოლოგია"; „კულინარიის ხელოვნება"*** - სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს.

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები)

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.4** დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები, რომელიც კონსოლიდირებულია ერთ დოკუმენტში. დასახელებული წესების შინაარსი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. ვიზიტისას ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი რეგულაციების პრაქტიკაში რეალიზების საკითხი. შემთხვევითი პრინციპით იქნა შერჩეული პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები და შემოწმდა ის დოკუმენტაცია, რომელიც მათ ჩარიცხვასთან იყო დაკავშირებული. **მისასალმებელია, რომ კოლეჯი ზედმიწევნით ასრულებს, როგორც საკანონმდებლო, ასევე საკუთარი რეგულაციებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კოლეჯი ასევე კანონმდებლობის დაცვით ახორციელებს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრის წარმოებას.** ამისათვის კოლეჯში მუშაობს კომპეტენტური სპეციალისტი, მასთან გასუბრებამ ცხადყო, რომ რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს სრულფასოვნად ფლობს და წარმატებით უზრუნველყოფს მათ განხორციელებას.

კოლეჯის წარმომადგენლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისას ცხადი გახდა, რომ **თითოეული პროფესიული სტუდენტის მოსაზიდად, კოლეჯის მიერ გაწეული ძალისხმევა მასშტაბურია. რეალურად კოლეჯის წარმომადგენლებს რეგიონის მასშტაბით კარდაკარ უწევს სიარული, რათა უზრუნველყონ პოტენციური პროფესიული სტუდენტების დაინტერესება. ამისათვის კოლეჯმა უკვე განახორციელა მრავალი აქტივობა, რითაც შეძლო აემაღლებინა ცნობიერება პროფესიული განათლების ძლიერი მხარეების შესახებ და გაზარდა მოთოხვნა პროფესიული**

**განათლების მიღებაზე.**

**აღსანიშნავია, რომ გასაუბრებაზე მყოფი პროფესიული სტუდენტები (რომელიც სხვადასხვა ასაკის წარმომადგენელბი არიან) ერთნაირად კმაყოფილნი არიან კოლეჯში სასწავლო გარემოთი, მასწავლებლებით და განსაკუთრებით კოლეჯის ხელმძღვანელისა და ადმინისტრაციის.** თითოეული მათგანი საუბრისას ხაზს უსვამდა იმას, რომ კოლეჯში მათზე და მათ განვითარებაზე ორიენტირებული სისტემაა დანერგილი. განსაკუთრებით კმაყოფილებას გამოთვაქმდნენ იმის შესახებ, რომ ისინი კოლეჯში დაცულად და კომფორტულად გრძნობენ თავს და მიუხედავად იმისა, რომ მათ საცხორვებელი ადგილიდან დიდი გზის გავლა უწევთ კოლეჯში მისასვლელად, არ უშინდებიან ამ დაბრკოლებას და ინტენსიურად არიან ჩართულნი სასწავლო პროცესში. სტუდენტებმა ასევე ყურადღება გაამხვილეს იმ გარემოებაზე, რომ კოლეჯის კურსდამთავრებულები ძალიან წარმატებით საქმდებიან კოლეჯის ხელშეწყობით. შესაბამისად, როდესაც ისინი გადაწყვეტილებას იღებდნენ, რატომ უნდა ჩაებარებინათ კოლეჯში, ამ ფაქტორმა ძალიან დიდი როლი შეასრულა. სტუდენტების თქმით მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია, იმის ცოდნა, რომ კოლეჯი მათ ხელს უწყობს არამხოლოდ იმიტომ, რომ დასაქმების მაჩვენებელი პროცენტებში იქნას გამოსახული, არამედ ზრუნავს მათთვის ღირსეული პირობების შეთავაზებაზე.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- კოლეჯის შიდა რეგულაციები;
- პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები;
- პროფესიულ სტუდენტებთან და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.5** დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის

მექანიზმები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმები განსაზღვრულია კოლეჯის სასწავლო პროცესის და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელ წესში. მათ შორის პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები მსგავსი პროგრამების განმახორციელებელ კოლეჯებთან:

1. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ოპიზარი“
2. ა(ა)იპ კოლეჯი ,,პრესტიჟი“
3. სსიპ პროფესიული კოლეჯი ,,ბლექსი“
4. ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი ,,იკაროსი“
5. სსიპ პროფესიული კოლეჯი ,,ლაკადა“

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შიდა რეგულაციები;
- კოლეჯებთან გაფორმებული მემორანდუმები.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.6** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს საფუძვლად უდევს PDCA ციკლი. სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმები, კერძოდ, კოლეჯს ჰყავს ხარისხის მართვის მენეჯერი რომლის თანამდებობრივი ინსტრუქცია სრულად მოიცავს სასწავლო პროცესის ხარისხის კონტროლს, ანალიზს და შემდგომი განვითარების მექანიზმების შემუშავებას.

ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებისას ექსპერტები დარწმუნდნენ, რომ მას გათვიცნობიერებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და უზრუნველყოფს მათ რეალიზებას. ხარისხის მართვის მენეჯერი არის კომპეტენტური და გამოცდილი. მისასალმებელია, რომ ის ორიენტირებულია კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების და ასევე საკუთარი უნარების განვითარებაზე, რაც უდავოდ სასარგებლო იქნება შემდგომში კოლეჯში ხარისხის კულტურის განვითარებისა და გავრცელებისთვის.

კოლეჯში აქტიურად ხორციელდება მიმდინარე სასწავლო პროცესზე დაკვირვება, ამასთანავე კოლეჯში მოქმედი საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების განხორციელებაზე დაკვირვებას ახორციელებს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული მოდულური პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით შიდა მხარდაჭერის ჯგუფი. ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი. ჯგუფის შემადგენლობაში არიან სასწავლო პროცესის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, დამხმარე თანამშრომლები ცალკეული მოდულური პროგრამების ხელმძღვანელები და პროფესიული განათლების მასწავლებლები.

პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობების ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასების საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, რომელიც აწარმოებს კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას. ანალიზის მასალები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად.

ექსპერტებმა ვიზიტისას შეისწავლეს კოლეჯის მიერ მომზადებული ანლიზის დოკუმენტი, ასევე ზემოთ დასახელებული შიდა კვლევებით მიღებულ შედეგებზე დაფუძნებით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2019 წელი)*

ხარისხის უზრუნველყოფის პორცესების გასაუმჯობესებლად შექმნილი სამოქმედო გეგმა, რომელიც ასევე ასახულია კოლეჯის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- დირექტორის ბრძანება N27/დ, ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი"-ს მოდულური/დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვასთან დაკავშირებული კითხვარების დამტკიცების შესახებ;
- დირექტორის ბრძანება N04-89, ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი"-ს მოდულური/დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვასთან დაკავშირებულ კითხვარების დამტკიცების შესახებ" 2018 წლის 14 აგვისტოს N 27/დ ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ"
- ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი" დირექტორის 2019 წლის 3 ივნისის ბრძანება N 04-110 „ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი" „სასწავლო პროცესის და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ".
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 მაისის ბრძანება „ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი"-ს ხარისხის მართვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ"
- .პროფესიულ სტუდენტთა,პედაგოგთა,კურსდამთავრებულთა კითხვარები;
- მოდულის განხორციელების და შედეგის დადასტურების შეფასების კითხვარი;
- კითხვარების შედეგად მიღებული შედეგების ანალიზი და გაცემული რეკომენდაციები.
- ა(ა)იპ პროფეასიული კოლეჯი „ჰორიზონტი"-ს დირექტორის 2018 წლის 16 აგვისტოს ბრძანება ა(ა)იპ პროფეასიული კოლეჯი „ჰორიზონტი"-ში მოდულური პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ.
- ხარისხის მენეჯერთან გასაუბრების შედეგები.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2019 წელი)*

## 2. მატერიალური რესურსი

**2.1** დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯი ქ.ოზურგეთში, რუსთაველის ქ.N 8-ში იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს სამსართულიან შენობას, რომლის საერთო ფართია 2094 კვ.მ. ვიზიტისას დადგინდა, რომ იჯარის ხელშეკრულებას ვადა გასდის 2019 წლის ოქტომბერში. თუმცა კოლეჯმა წარმოადგინა წერილი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს სახელზე, რითაც 2019 წლის 29 იანვარს მოთხოვნილ იქნა შენობის კოლეჯისთვის 10 წლის ვადით გადაცემა. როგორც ვიზიტისას განიმარტა პროცესი დასრულების ეტაპზეა და უზრუნველყოფილი იქნება შენობის კანონიერი განკარგვის უწყვეტობა.

შენობა სრულფასოვნად გამოიყენება კოლეჯის მიზნებისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნებს.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|
| 1 | ქ.ოზურგეთი, რუსთაველის ქ.N 8 | 2094 კვ.მ. |

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ფართის ფლობის სესახებ იჯარის ხელშეკრულება;
- ამონაწერი საჯარორეესტრიდან;
- წერილი შენობის 10 წლის ვადით გადაცემის შესახებ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვიზიტისას დათვალიერებული ფაქტობრივი მდგომარეობა.

**შეფასება:**

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

**ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების სასწავლო ფართები აღჭურვილია სწავლისა და პრაქტიკისთვის აუცილებელი და საჭირო ინვენტარით, მერხებით, სკამებით, დაფებით, კომპიუტერებით, სხვადასხვა თვალსაჩინოებით. ყველა პრაქტიკული ლაბორატორია (C) აღჭურვილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. მოდულური პროგრამებისთვის გამოყოფილი A და B გარემოსთვის განკუთვნილი აუდიტორიები უზრუნველყოფილია ადგილებითა და ინტერნეტის ქსელში ჩართული პერსონალური კომპიუტერით პროფესიული სტუდენტებისთვის, პროექტორით, კომპიუტერით პროგრამის განმახორციელებელი პირისათვის. აუდიტორიები და ლაბორატორიები, რომლებიც ასრულებენ C გარემოების ფუნქციას, აგრეთვე აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური ინვენტარით.

კოლეჯში სულ არის **8 A ტიპის სასწავლო გარემო,** რომლებშიც პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა არის 125 ;

კოლეჯში სულ არის **3 B ტიპის სასწავლო გარემო,** რომლებშიც პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა არის 55 ;

კოლეჯში სულ არსებობს **8 C ტიპის გარემო** ადგილების რაოდენობა - 115 ადგილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. ***ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტროობა“.***

დაწესებულებას აქვს მატერიალური და ადამიანური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოთვლის მეთოდოლოგია, რომლის თანახმად ითხოვს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „ელექტროობა“ - ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს **45 პროფესიული სტუდენტით.** სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოთვლის მეთოდოლოგია დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამებთან ერთად.
***ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს დაწესებულების მზაობას ამ რაოდენობის სტუდენტთა მიღებისათვის.***

2. ***ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“.***

დაწესებულებას აქვს მატერიალური და ადამიანური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოთვლის მეთოდოლოგია, რომლის თანახმად ითხოვს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „***„ინფორმაციის ტექნოლოგია***“ - ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს **20 პროფესიული სტუდენტით.** სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოთვლის მეთოდოლოგია დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამებთან ერთად.
***ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს დაწესებულების მზაობას ამ რაოდენობის სტუდენტთა მიღებისათვის.***

3. ***ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამკერვალო წარმოება“.***

დაწესებულებას აქვს მატერიალური და ადამიანური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოთვლის მეთოდოლოგია, რომლის თანახმად ითხოვს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ***„სამკერვალო წარმოება“*** - ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს **45 პროფესიული სტუდენტით.** სტუდენტთა ზღვრული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რაოდენობის გამოთვლის მეთოდოლოგია დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამებთან ერთად.

*ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს დაწესებულების მზაობას ამ რაოდენობის სტუდენტთა მიღებისათვის.*

4. *ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თმის მომსახურება“.*

დაწესებულებას აქვს მატერიალური და ადამიანური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოთვლის მეთოდოლოგია, რომლის თანახმად ითხოვს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ***„თმის მომსახურება“*** - ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს **42 პროფესიული სტუდენტით.** სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოთვლის მეთოდოლოგია დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამებთან ერთად.

*ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს დაწესებულების მზაობას ამ რაოდენობის სტუდენტთა მიღებისათვის.*

5. *ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“.*

დაწესებულებას აქვს მატერიალური და ადამიანური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოთვლის მეთოდოლოგია, რომლის თანახმად ითხოვს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ***„კულინარიის ხელოვნება“*** - ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს **42 პროფესიული სტუდენტით.** სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოთვლის მეთოდოლოგია დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამებთან ერთად.

*ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს დაწესებულების მზაობას ამ რაოდენობის სტუდენტთა მიღებისათვის.*

**შეჯამების მიზნით უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ კოლეჯის მიერ რეავტორიზაციის მიზნით წარმოდგენილი, ზემოთ აღწერილი ხუთივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით/დოკუმენტებით დადგენილ**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2019 წელი)*

**მოთხოვნებთან მატერიალურ აღჭურვილობის ნაწილში, რაც ექსპერტთა ჯგუფს აძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ კოლეჯის მიერ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა ( 194) რეალისტურია.**

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- საინვენტარიზაციო უწყისებით;
- შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ჩუქების დოკუმენტებით;
- მიღება- ჩაბარების აქტებით.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.2** დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები მოწესრიგებულია და დაცულია სანიტარული ნორმები, ყველა სასწავლო ოთახში არის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის, გაგრილების და ვენტილაციის საშუალებები.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ელექტროენერგიის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები, ანგარიშფაქტურები, საგადახდო მოთხოვნები;
- წყლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები, ანგარიშფაქტურები, საგადახდო მოთხოვნები; .
- დასუფთავების მოსაკრებლის ქვითრები და საგადახდო დავალებები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2019 წელი)*

- ბუნებრივი აირის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები, ანგარიშფაქტურები, საგადახდო მოთხოვნები;(გათბობისთვის)
- ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:
■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.3** დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ვიზიტის დროს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სავალდებულო, ზოგადი და არჩევითი პროფესიული მოდულებიდან, ექსპერტების მიერ შერჩევითად, გადამოწმებულ იქნა მოდულებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა, რომელიც სრულად იყო წარმოდგენილი.

ბიბლიოთეკაში ზოგიერთი მითითებული რესურსი ელექტრონულ ფორმატშია, ბეჭდური სახელმძღვანელოები გატარებულია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის საინვენტარიზაციო წიგნში არსებული წესით. ბიბლიოთეკაში არსებობს ანბანური კატალოგი. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში განთავსებულია მაგიდები, კომპიუტერები და კომბაინი.

კოლეჯის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია ბიბლიოთეკარის შტატი.კოლეჯის ბიბლიოთეკარს აქვს უმაღლესი განათლება, ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე მუშაობის 9 წლის პრაქტიკული გამოცდილება. 2013 წელს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით დაესწრო RDA -ის სემინარს თემაზე: ინფორმაცია რესურსების აღწერისა და წვდომის უზრუნველყოფის უახლესი სტანდარტით.

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დირექტორის 2013 წლის 4 იანვრის ბრძანება #1/დ, ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ;
- დირექტორის 2014 წლის 25 ივნისი ბრძანება #2/დ „ბიბლიოთეკით სარეგბლობის წესის დამტკიცების შესახებ“;
- დირექტორის 2014 წლის 5 აგვისტოს #4/დ,ბიბლიოთეკის კატალოგის დამტკიცების შესახებ;
- დირექტორის 2014 წლის 5 აგვისტოს #9/დ,ბიბლიოთეკის ელ.ფონდის დამტკიცების შესახებ.
- დირექტორის 2017 წლის 16 აგვისტოს N 22/დ „კოლეჯის დირექტორის 2013 წლის 4 იანვრის ბრძანება #1/დ, ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის შესახებ“;
- დირექტორის 2017 წლის 18 აგვისტოს ბრძანება N 26 „კოლეჯის დირექტორის 2014 წლის 5 აგვისტოს #9/დ,ბიბლიოთეკის ელ.ფონდის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის შესახებ“'
- დირექტორის 2019 წლის 14 მაისი #04-85, „კოლეჯის „ჰორიზონტი“ ბიბლიოთეკის კატალოგის დამტკიცების შესახებ“ დირექტორის 2014 წლის 5 აგვისტოს #4/დ ბრძანების დანართში ცვლილების დამატების შესახებ“;
- მიღება-ჩაბარების აქტებით;
- სახელმძღვანელოების შესყიდვისა და ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ფაქტობრივი მდგომარეობით;
- ბიბლიოთეკარის პირადი საქმე;
- ბიბლიოთეკართან, პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.4** საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებაში განთავსებული კომპიუტერები გამოყოფილია ადმინისტრაციისათვის, პროფესიული სტუდენტებისათვის, განთავსებულია აუდიტორიებსა და ბიბლიოთეკაში, რომლითაც სარგებლობის

უფლება აქვთ სტუდენტებს, მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას. შენობაში ხელმისაწვდომია ინტერნეტი. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება დაწესებულების მართვაში, ადმინისტრაციის ოთახები აღჭურვილია კომპიუტერებით, ასლის გადამღები აპარატებით. დაწესებულება ფლობს 105 კომპიუტერსა და 20 ლეპტოპს, საიდანაც 17 გამოიყენება ადმინისტრაციაში, ხოლო 4 განთავსებულია ბიბლიოთეკაში. კოლეჯს აქვს ვებ-გვერდი.

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *გადახდის ქვითრებით;*
- *შესყიდვების დოკუმენტაციით;*
- *ვიზუალური დათვალიერებით*

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.5** დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯში გამოცემული აქტებისა და კორესპოდენციების აღრიცხვა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 29.08.2018 წლის ბრძანება #41/დ „ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი"-ს საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ" ბრძანებიდან გამომდინარე შემუშავებული ნომენკლატურის შესაბამისად.

კოლეჯის საშტატო განრიგი ითვალისწინებს საქმისმწარმოებლის პოზიციას, რომლის ფუნქციებიც განსაზღვრულია პროფესიული კოლეჯის სამსახურეობრივ ინსტრუქციაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქმისმწარმოებელი ახორციელებს შემოსული და გასული კორესპონდენციების აღრიცხვას, სისტემატიზაციასა და მის მყისიერ მიწოდებას ხელმძღვანელისათვის. უზრუნველყოფს კორესპონდენციის დავალებათა დადგენილ ვადებში შესრულების კონტროლს, საჯარო ინფორმაციის გაცემას, საქმისწარმოებაში დასრულებული დოკუმენტაციის აღრიცხვას, დამუშავებასა და გადაცემას არქივისათვის არსებული წესების თანახმად. კოლეჯი ჩართულია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის ერთიან სისტემაში (Eflow).

ვიზიტისას შეფასებულ იქნა თუ რამდენად დაცულია კოლეჯის მიერ დადგენილი საკუთარი წესები. რაც დადასტურდა. ასევე მოხდა გასაუბრება კოლეჯის საქმისმწარმოებელთან, რომელიც უზრუნველყოფს არსებული წესების თანმიმდევრულ რეალიზებას.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- აღრიცხვის ჟურნალები;
- დირექტორის 29.08.2018 წლის ბრძანება #41/დ ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი"-ს საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ;
- eflow -ს პროგრამა ;
- საქმისმწარმოებელთან გასაუბრების შედეგები.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.6** დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც შემუშვაბულია და დანერგილია ხანძარსაწინაამღდეგო უზრუნველყოფის მექანიზმები, ხანძარსაწინაამღდეგო ინვენტარი; ცეცლმაქრები განთავსებულია სამივე სართულზე საევაკუაციო გეგმაზე მითითებული პირობითი აღნიშვნების შესაბამისად. თითოეულ ცეცხლმაქრთან გამოკრულია გამოყენების ინსტრუქცია. დაცულია ცეცლმაქრების გამოყენების ვადები. კოლეჯის მიერ შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებების ინსტრუქცია, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას სამივე სართულზე.

კოლეჯის პირველ, მეორე, მესამე სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა; კოლეჯში ფუნციონირებს პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტებით. პროფესიულ სტუდენტებს და პერსონალს პირველად სამედიცინო დახმარებას უწევს ექთანი. კოლეჯს შემუშავებული და დანრეგილი აქვს წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, კერძოდ ვიდეო სათვალთვალო სისტემა 16 ვიდეოკამერა, მათ შორის 12 შიდა გამოყენების ფერადი ვიდეო კამერა, 4 გარე გამოყენების კამერა ინფრაწითელი განათებით.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შპს ,, იუნაიტედ სექიურიტი’’-თან გაფორმებული ხელშეკრულება ,,ვიდეო სათვალთავალო სისტემის დამონტაჟება გამართვის,სამუშაოების შესახებ.
- 2014 წლის, 05.08. დირექტორის ბრძანება #6/დ, კოლეჯი „ჰორიზონტის“ პირველადი დახმარების აღმოჩენისა წესის და მექანიზმების დამტკიცების შესახებ;
- 2014 წლის, 05.08. დირექტორის ბრძანება #10/დ კოლეჯი „ჰორიზონტის“უსაფრთხოების დაცვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;
- 2018 წლის, 15.08. დირექტორის ბრძანება #28/დ კოლეჯი „ჰორიზონტის“ ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ;
- 2019 წლის 21 მაისის დირექტორის ბრძანება #04-91 კოლეჯი „ჰორიზონტის“ ტერიტორიაზე(შენობა,ეზო) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ;
- ვიზულური დათვალიერებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინვენტარის შესყიდვის აქტებით.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.7** დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯში არის სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემო, კერძოდ პანდუსი ცენტრალურ და უკანა ეზოში გასასვლელთან, ასევე, შშმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებული სველი წერტილები, სართულებს შორის დამაკავშირებელი პანდუსი. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის და ასისტენტი, რომლებიც მოქმედებენ კანონით დადგენილი წესისა და თავისი კომპეტენციების შესაბამისად. კოლეჯს ინკლუზიური პროფესიული განათლების გუნდი ინტენსიურად მუშაობს სსსმ სტუდენტებთან. საჭიროების შემთხვევაში მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

ადაფტირებული გარემოს გაუმჯობესების მიზნით კოლეჯი გეგმავს შესაბამისი ლიფტის დამონტაჟებას.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- დირექტორის 2019 წლის 29 მაისის ბრძანება „ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი“ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მომსახურების გაწევისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“;
- შემუშავებული საგანმანათლებლო რესურსები,ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- დირექტორის 2019 წლის 3 ივნისის ბრძანება N 04-110 „ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი“



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„სასწავლო პროცესის და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“.

- 4. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტის სამსახურებრივი ინსტრუქციები;
- დაწესბულების წარმოამდგენელებთან ( დირექტორი, ბუღალტერი, შესყიდვების მენეჯერი, მატერიალური რესურსების მართვის კოორდინატორი;
- ვიზუალური დათვალიერება

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8** ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯის ვებ - გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია ,საკონტაქტო, ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა,საგანმანათლებლო პროგრამები(კატალოგი), პერსონალი, ფოტო და ვიდეო გალერეა, ვებ-გვერდის განახლება ხდება რეგულარულად სიახლეების შესაბამისად;

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- კოლეჯის ვებ-გვერდი **www. horizonti.ge**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.9** შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯს შემუშავებული აქვს 2019-2024 გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო განვითარების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ კოლეჯის სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავება თანამშრომლობითი პრინციპით განხორციელდა. მასში მოცემული მიზნები და აქტივობების შინაარსი მიღწევადია, დაწესებულების წარმომადგენლები ლოგიკურად ასაბუთებენ მიზნების და აქტივობების განხორციელების მნიშვნელობას და პრიორიტეტულობას კოლეჯის განვითარების კონტექსტში. მისასალმებელია, რომ დაწესებულების პარტნიორი დამსაქმებლების მოლოდინები და კოლეჯთან მოკლე და გრძელვადიანი თანამშრომლობის პერსპექტივები ასახულია სტრატეგიულ დოკუმენტში, ამასთანავე, კოლეჯის ბიუჯეტი მდგრადია არა მხოლოდ მოკლევადიანი აქტივობების განსახორციელებლად, არამედ გრძელვადიანი მიზნების მისაღწევადაც, რომელიც მოიცავს კოლეჯის საქმიანობის გაფართოებას.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- 2019-2024 გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო განვითარების გეგმები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

- ## ადამიანური რესურსი

**3.1** დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯში შემუშავებულია თითოეული პოზიციის თანამდებობრივი ინსტრუქცია და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. რეესტრის გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ კოლეჯში პროფესიულ პროგრამებზე ამჟამად დასაქმებულია 37 პროფესიული მასწავლებელი, ხოლო 20-მდე ადმინისტრაციის წარმომადგენელი და ტექნიკური პერსონალია.

კოლეჯის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებსა და ინსტრუქციებში გაწერილ მოთხოვნებს. კოლეჯი წარმოდგენილია, კვალიფიციური, გამოცდილი და მოტივირებული ადამიანებით.

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული მასწავლებლების / პროფესიული პროგრამების განმახორციელებლების პირადი საქმეებით.
- თანამდებობრივი ინსტრუქციებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით.
- ინტერვიუირებით

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.2** საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. კოლეჯს რეავტრიზაციის მიზნით წარმოდგენილი აქვს 5, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელებასაც უზრუნველყოფს 37 პროფესიული მასწავლებლის ჩართულობით. კოლეჯის მიერ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არის 194, შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნება პროფესიული სტუდენტისა და პროფესიული მასწავლებლის დადგენილი თანაფარდობის (დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი) დაცვა.

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- შრომითი ხელშეკრულებებით;
- საინფორმაციო ბაზით evet.emis.ge.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.3** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. პროფესიული მასწავლებლის პოზიციაზე შერჩეულ პირებთან კოლეჯის დირექტორი აფორმებს შრომით ხელშეკრულებას რომელიც შესაბამისობაშია შრომის კოდექსის მოთხოვნებთან, მასში განსაზღვრულია ყველა არსებითი პირობა და მხარეთა უფლება-მოვალეობები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2019 წელი)*

*შრომითი ხელშეკრულების შესწავლისას ექსპერტებმა შენიშნეს, რომ ზეგანაკვეთური სამუშაოს პუნქტის ქვეშ დეკლარირებული იყო შრომის კოდექსის შესაბამისი ნორმა, რომელიც განმარტავს, რომ ზეგანაკვეთური სამუშაო შესაძლოა ანაზღაურდეს ხელფასის გაზრდილი ოდენობით ან დასაქმებულისათვის დამატებითი დასვენების შეთავაზებით. ხოლო შემდეგ პუნქტში  კოლეჯი ადგენს ზეგანაკვეთური ანაზღაურების ფორმას, ხელფასის გაზრდილი ოდენობით. იმის გათვალისწინებით, რომ  კოლეჯს ხელშეკრულებაში უკვე დაგდგენილი აქვს ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების მეთოდი, ექსპერტებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ უმჯობესია ტექნიკურად  გაიმართოს ხელშეკრულების ეს პუნქტი და მასში დარჩეს მხოლოდ ის წინადადება, რომელიც კონკრეტულად განსაზღვრავს როგორ აანაზღაურებს კოლეჯი ზეგანაკვეთურ სამუშაოს.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- დირექტორის 2018 წლის 27.08.  ბრძანება N39/დ „ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯი „ჰორიზონტის“ პროფესიული მასწავლებლის და პერსონალის შერჩევისა და სამსახურში მიღების წესის“ დამტკიცების შესახებ;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა დანიშვნის აქტები / შრომითი ხელშეკრულებები;
- პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2019 წელი)*

## VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

**შენიშვნა:** კოლეჯს რეავტორიზაციის მიზნით წარმოდგენილი აქვს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული 5 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და აღნიშნული პროგრამების განხორციელებისათვის მოთხოვნილი აქვს პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა -194. კოლეჯი ასევე ახორციელებს მილევად რეჟიმში ბართენდერის პროფესიულ პროგრამას, რომელზეც სწავლობს 7 პროფესიული სტუდენტი, რომელიც მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობაში არ მოიზარება.

| № | პროგრამის დასახელება | როფესიულ ი ანათლების აფეხური / დონე | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვ ის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვ ანი ტუდენტებისათ ვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით) | ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სამკერვა ლო წარმოება | მესამე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში 0723 | 99 კრედიტი | 114 კრედიტი | ქართული | ქ ოზურგეთი, რუსთ აველის ქ N 8 | 41 (აქტიური) 1 (სტატუსშეჩერ ებული) | 45 |
| 2 | თმის მომსახურ ება | მესამე | საბაზო პროფესიულ ი კვალიფიკაც ია თმისა და სილამაზის მომსახურება ში 1012 | 57 კრედიტი | 72 კრედიტი | ქართული | ქ ოზურგეთი, რუსთ აველის ქ N 8 | 37 (აქტიური) | 42 |
| 3 | ელექტროობ ა | მესამე | საბაზო პროფესიულ ი კვალიფიკაც ია ელექტროობა ში 0713 | 56 კრედიტი | 71 კრედიტი | ქართული | ქ ოზურგეთი, რუსთ აველის ქ N 8 | 38 (აქტიური) 2 (სტატუსშე ჩერებული) | 45 |
| 4 | ინფორმაციი ს ტექნოლოგი ა | მესამე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის | 60 კრედიტი | 75 კრედიტი | ქართული ენა | ქ ოზურგეთი, რუსთ აველის ქ N 8 | 11 (აქტიური) 1 (სტატუსშე ჩერებული) | 20 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2019 წელი)*

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612 | | | | | | |
| 5 | კულინარიის ხელოვნება | მესამე | საბაზო პროფესიულ ი კვალიფიკაც ია კულინარიის ხელოვნებაში 1013 | 84 კრედიტი | 99 კრედიტი | ქართული ენა | ქ ოზურგეთი რუსთ აველის ქ N 8 | 35 (აქტიური) 2 (სტატუსშე ჩერებული) | 42 |

**დაწესებულების მიერ მილევად რეჟიმში განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამები**

| № | პროგრამის დასახელება | როფესიული განათლების საფეხური / დონე | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბართენდე რი | მესამე | ბართენდერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112067 | 67 | 82 | ქართული ენა | ქ ოზურგეთი, რუსთაველის ქ N 8 | 7 |

## IX. თანდართული დოკუმენტაცია

**დანართი 1.** ვიზიტის დღის წესრიგი (4 ფურცელი)

**დანართი 2.** წერილი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს სახელზე (2 ფურცელი)

**31.07.2019 წ.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: